სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №75

ბოლნისი „14“ „დეკემბერი “ 2017 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ შპს „ბოლნისის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახური” (მის: ქალაქი ბოლნისი სულხან-საბას 106) წარმოდგენილი დირექტორის თეიმურაზ გაბიძაშვილის სახით (აქ და შემდგომში “შემსყიდველი”) და მეორეს .ი.მ გურამი მენთეშაშვილის (მის: ქ. ბოლნისი სულხან საბას 185) სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1 . ხელშეკრულების საგანი

1.1 „შემსყიდველი” უკვეთავს, ხოლო “მიმწოდებელი” იღებს ვალდებულებას მიაწოდოს

ძრავის ზეთი10/40 -- 20 ლიტრი CPV09200000.

ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარი
2.2 1 ლიტრი ძრავის ზეთის 10/40 –ს ღირებულება შეადგენს 10.00 ლარს

3. საქონლის მიწოდების ვადა

4.1 „მიმწოდებელი” საქონლის მიწოდებას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულებს 2017 წლის 16 დეკემბრამდე.

4. მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მიწოდებული საქონელი ჩაითვლება სრულად მიღებულად, მხარეების მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შემსრულებლის მხრიდან შესაბამისი ანგარიშ -ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშწორებით, მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ ანგარიშწორების ანგარიშზე.
5.2 ანგარიშწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1 „შემსყიდველი” ვალდებულია:
ა) ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისათვის გადაუხადოს „შემსრულებელს” გაწეული საქონლის ღირებულება.

ბ) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების საგნის შესრულებას.

6.2„მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) დროულად შეასრულოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება/მომსახურეობის გაწევა.

ბ) თავისდროულად და წერილობით აცნობოს "შემსყიდველს" საქონლის მიწოდებისას მომსახურეობის გაწევისას წარმოქმნილი მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოინახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება მოქმედებაში შედის ორივე მხარის ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2018 წლის 18 იანვრამდე.

9 . დავების გადაწყვეტა

9.1 მხარეებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ გადაწყვიტონ წარმოშობილი საკამათო საკითხები და გაუგებრობა ერთმანეთისადმი კეთილგანწყობის ფარგლებში, მოლაპარაკებათა საშუალებით.

9.2 თუ მხარეები ვერ გადაწყვეტენ წარმოშობილ საკამათო საკითხებს, მაშინ საკითხი გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შპს „ბოლნისის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახური"-ს დირექტორი თეიმურაზ გაბიძაშვილი

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, შეცვლა, შეწყვეტა.

11.1 „შემსყიდველს" შეუძლია შეუწყვიტოს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს თუ დაფიქსირდება „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, და გადაახდევინოს „მიმწოდებელს" პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11.2„შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" დააკისროს პირგასამტეხლო სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილებისას ყოველი დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ან/და შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 ხელშეკრულების შეწყვეტა „მიმწოდებელს" არ ანთავისუფლებს 12.1 და 12.2 პუნქტებში დაფიქსირებული პირგასამტეხლოებისაგან.

11.4 „შემსყიდველს" შეუძლია ცვლილება შეიტანოს ხელშეკრულებაში ნებისმიერ დროს ორივე მხარის შეთანხმების შემთხვევაში თუ აღნიშნული არ ცვლის ხელშეკრულების ძირითად აზრს

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს ორ იდენტურ ეგზემპლარს, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

შპს„ბოლნისის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახური"

ს\კ 425358409 ა\ა GE31 TP0034070020000235

ს.ს. „პრივატბანკი"

ბანკის კოდი CAVOGE22

ხელის მოწერა და ბეჭედი

\ თ.გაბიძაშვილი \

„მიმწოდებელი "

ი.მ. გურამი მენთეშაშვილი

ს\კ 10001004833

ა\ა GE981BG 0000000916201100

ს.ს. „საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი BAGAGE22

ხელის მოწერა და ბეჭედი